

სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“
ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“ ბიბლიოთეკის (შემდგომში – ბიბლიოთეკა) სტატუსს, უფლება-მოვალეობებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული.

3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზნები

ბიბლიოთეკის ძირითადი მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება;

ბ) საბიბლიოთეკო ფონდებისა და სხვა რესურსების სრულად და ეფექტურად გამოყენება, ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, დამუშავება და გამოცემა;

გ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, მომხმარებლის მომსახურება.

დ) საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

მუხლი 3. ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობანი

- საბიბლიოთეკო სფეროს საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პერსონალისთვის საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევა;
- საბიბლიოთეკო სფეროში დადგენილი სტანდარტების დაცვა;
- საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნთგაცვლითი ურთიერთობების დამყარებაზე ზრუნვა;
- ფონდების სისტემატიზაციის და კატალოგიზაციის დაქვემდებარება არსებულ სტანდარტზე;

- ბიბლიოთეკაში ახალი საბიბლიოთეკო ტექნოლოგიური პროცესების (კატალოგიზაციის, ინფორმაციის მოპოვებისა და სხვ.) დანერგვასა და განხორციელებაზე ზრუნვა;
- სტატისტიკის წარმოების ელექტრონული ვერსიების და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენება;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების შექმნასა და სხვადასხვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციებსა და საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანების ხელშეწყობა;

მუხლი 4. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

1. ბიბლიოთეკას მართავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;
2. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას;
 - ბ) ანაწილებს მოვალეობებს ბიბლიოთეკის მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

მუხლი 5. ბიბლიოთეკის მოსამსახურეები

1. ბიბლიოთეკის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ბიბლიოთეკის მოსამსახურეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის სამსახურებრივი დავალებებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.